შპს "მაგთიკომი"
№ ED-24/04/25-006
25-04-2024 წ

მაგთიკომი
MAGTICOM

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ კახი ბექაურს

წევრებს: ბატონ ივანე მახარაძეს,
ქალბატონ ნათია კუკულაძეს,
ქალბატონ ეკატერინე იმედაძეს,
ბატონ ვახტანგ აბაშიძეს,

ბატონო კახი, ბატონო ივანე, ქალბატონო ნათია, ქალბატონო ეკატერინე, ბატონო ვახტანგ,

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2024 წლის 28 მარტის #გ-24-23/163 გადაწყვეტილებით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ფარგლებში კომისიის მიერ გამოქვეყნებულ „მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევა და ანალიზის“ პროექტში, აღნიშნულია, რომ კომპლექსური კვლევა ევროკომისიის მხარდაჭერით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების დახმარების (‘’Facility for the Implementation of the EU-Georgia Association Agreement“, შემდგომში ‘’AA Facility“) პროექტის ფარგლებში ჩატარდა. პროექტის ფარგლებში შერჩეულმა, ევროკომისიასა და ევროპულ მარეგულირებელ ორგანოებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ექსპერტებმა, კომისიის გუნდთან ერთად, განახორციელეს ფიქსირებული ფართოზოლოვანი და მობილური საკომუნიკაციო მომსახურებების საცალო და საბითუმო ბაზრების წინასწარი კვლევა. ეკონომიკურმა, სამართლებრივმა და ტექნიკურმა ექსპერტებმა, ბაზრის სრულფასოვანი შესწავლის საფუძველზე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (შემდგომში - კომისია) შესთავაზეს რეკომენდაციები ფიქსირებული და მობილური საკომუნიკაციო მომსახურებების ბაზრის კვლევის მიმართულებებით. **გთხოვთ, მოგვაწოდოთ ექსპერტების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, სადაც კომისიისთვის შეთავაზებულია რეკომენდაციები ფიქსირებული და მობილური საკომუნიკაციო მომსახურებების ბაზრის კვლევის მიმართულებებით.**

კომისიის მიერ გამოქვეყნებულ პროექტში, ასევე აღნიშნულია, რომ ევროკავშირის ინსტიტუციონალური განვითარების, ტექნიკური დახმარების და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) მხარდაჭერით წინასწარი კვლევის ჩარჩოს და შედეგების რევიზია განხორციელდა ევროკომისიის სხვა დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ. **გთხოვთ, მოგვაწოდოთ ევროკავშირის ინსტიტუციონალური განვითარების, ტექნიკური დახმარების და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) მხარდაჭერით წინასწარი კვლევის ჩარჩოს და შედეგების რევიზიის დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი.**

ასევე გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგ ინფორმაცია:

შპს „მაგთიკომი“ / Magticom LLC; საიდენტიფიკაციო კოდი / Identification Number 204876606
პოლიტკოვსკაიას ქ. N7, თბილისი 0186, საქართველო / 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ / Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ელ.ფოსტა / E-mail: office@magticom.ge
www.magticom.ge

1. თითოეული მობილური ოპერატორის 2023-2024 წლებში განხორციელებული ინვესტიციები;
2. 2023-2024 წლებში მობილური ოპერატორების მიხედვით მათი საბაზო სადგურების რაოდენობა;
3. 2024 წლის იანვრიდან მარტის თვეების ჩათვლით ინფორმაცია შპს „მაგთიკომის“, სს „სილქნეტის“ და შპს „ვიონი საქართველოს“ შესახებ ქვემოთ მოცემული ცხრილების მიხედვით:

ცხრილი 1:

- თვე
- კომპანია
- ხელშეკრულების ტიპი (ფიზიკური/იურიდიული/უფასო/კონსოლიდირებული)
- შემოსავლის ტიპი (შერეული პაკეტი/ერთეულოვანი პაკეტი/ჰომოგენური პაკეტი)
- ხმოვანი შემოსავალი
- SMS შემოსავალი
- მობილური ინტერნეტ შემოსავალი
- მოხმარებული წუთები
- მოხმარებული SMS
- მოხმარებული მბ
- ხმოვანი სერვისის მომხმარებლები (ჯამური, მოხმარებული წუთების ტიპის ჩაშლის გარეშე)
- SMS მომხმარებლები (ჯამური, მოხმარებული წუთების ტიპის ჩაშლის გარეშე)
- მობილური ინტერნეტ მომხმარებლები (ჯამური, მოხმარებული წუთების ტიპის ჩაშლის გარეშე)

ცხრილი 2.

- თვე
- კომპანია
- მომხმარებლის ტიპი (ფიზიკური/იურიდიული/უფასო/კონსოლიდირებული)
- საერთაშორისო მიმართულებით მიღებული შემოსავალი
- როუმინგ შემოსავალი

ცხრილი 3.

- თვე
- კომპანია
- მომხმარებლის ტიპი (ფიზიკური/იურიდიული/უფასო/კონსოლიდირებული)
- A2P მიმართულებიდან მიღებული შემოსავალი
- A2P SMS-ების რაოდენობა
- A2P აბონენტები

ცხრილი 4. M2M

- თვე
- კომპანია
- ხელშეკრულების ტიპი (ფიზიკური/იურიდიული/უფასო/კონსოლიდირებული)
- M2M აბონენტების რაოდენობა
- ჯამური შემოსავალი
- ინტერნეტ შემოსავალი

დოკუმენტის ნომერი: **240425013**

- მოხმარებული მბ.

პატივისცემით,

ზურაბ ზარიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

დოკუმენტის ნომერი: **240425013**

Digitally signed by MagtiCom LLC
2024.04.25 16:34:50 +0400
MAGTICOM